ჩემი, შენი და მთელი ქალაქის
საახალწლო ცოცხალი!

# ის მაინც არსებობს!

საქველმოქმედო აქციის ანგარიში

2025 წელი

სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი"

**RICDOG**

/ ricdog@live.com / / +995 597 17 69 69 /

საქველმოქმედო აქციის

"ის მაინც არსებობს"

ფარგლებში დავეხმარეთ:

# 30 ოჯახს და 127 ბავშვს

## მადლობა ყველა მხარდამჭერს!

განსაკუთრებული მადლობა ინდივიდებს, ფომლებმაც სოციალურ ქსელში საქველმოქმედო გამოწვევა მიიღეს!

# ინფორმაცია აქცია-ღონისძიების შესახებ

**საქველმოქმედო აქციის "ის მაინც არსებობს"**
**2025 წელს მეთხუთმეტედ გაიმართა!**

**საახალწლო, საქველმოქმედო აქცია-ღონისძიების მიზანია: მხარი დაუჭიროს მრავალშვილიან, სოციალურად დაუცველ ოჯახებს.**

**"ის მაინც არსებობს" 2010 წლიდან ხორციელდება სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბის "თაობათა დიალოგი"-ის (RICDOG) მიერ.**

## ინფორმაცია
### განმახორციელებლის შესახებ

**სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" (RICDOG) არის არასამთავრობო, არაკომერციული ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნდა 2005 წელს. ორგანიზაცია 5 მიმართულებით ანხორციელებს მუშაობას: განათლება, ახალგაზრდობა, დემოკრატია, გარემოს დაცვა და მეწარმეობა.**

**ორგანიზაცია წლიდან წლამდე 10-ზე მეტ პროექტსა და პროგრამას ანხორციელებს ახალგაზრდებისა და არა მხოლოდ ახალგაზრდებისათვის. წლის ბოლოს, კი ორგანიზაციის 20-მდე წევრი და 30-ზე მეტი მოხალისე იწყებენ საქველმოქმედო აქცია-ღონისძიებაზე "ის მაინც არსებობს" მუშაობას.**

## საქველმოქმედო
## აქციის მიმდინარეობა

**RICDOG-ის წევრებმა და მოხალისეებმა 2025 წლის ნოემბერში ტრადიციულად დაიწყეს აქცია-ღონისძიებაზე "ის მაინც არსებობს" მუშაობა, შემუშავდა სამოქმედო გეგმა, ჩატარდა 10-ზე მეტი ფინანსების მოძიების აქტივობა, მოხდა სოციალურ ქსელში (Facebook) საქველმოქმედო გამოწვევის ჩაშვება. წევრებმა და მოხალისეებმა დააორგანიზეს შემოწირულობის ყუთითა და სხვა გზებით საქველმოქმედო თანხების ქუჩაში შეგროვების 20-მდე აქტივობა. მოხალისეები და წევრები ტრადიციულად ეწვივნენ ქუთაისის ტერიტორიაზე არსებულ ბაზრებს - პროდუქტებისა და სხვა შემოწირულობების შესაგროვებლად.**

**აღსანიშნავია, რომ წელს, RICDOG-მა, ახალი სოციალური ინიციატივა “ART is Fun +” წამოიწყო, რომლის ფარგლებშიც სოციალურად დაუცველი ოჯახების პატარებისთვის საგანმანათლებლო პროგრამის დაფინანსების შესაძლებლობა შეიქმნა - ორბელიანი მეტის პლატფორმის გამოყენებით.**

# ღონისძიება და შემოსული თანხები

## შემოსული თანხები

ფონდების მოძიებისათვის განხორციელებული აქტივობებიდან, ონლაინ გამოწვევებიდან, ინდივიდუალური შემომწირველებიდან და მხარდამჭერი კომპანიებიდან საქველმოქმედო ღონისძიებისთვის და სოციალური ინიციატივის განხორციელებისთვის საორგანიზაციო ჯგუფმა შეაგროვა:

# 22 ათას ლარამდე

წელს როგორც ყოველთვის, აქცია-ღონისძიების ფარგლებში გარდა თანხისა ხდებოდა არამონეტარული შემოწირულობების მოძიებაც (ვაუჩერები, პროდუქტები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთები, სათამაშოები და სხვა). დაახლოებით, საორგანიზაციო ჯგუფის მიერ მოძიებული ასეთი შემოწირულობა შეადგენდა 10 000 ლარის ექვივალენტს.

## ოჯახები

აქცია-ღონისძიების ფარგლებში მხარდასაჭერი ოჯახების შერჩევას ახორციელებდა სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" ორგანიზაციის მხარდამჭერების დახმარებით. თითოეული ოჯახის კრიტერიუმებთან შესაბამისობა წინასწარ გადამოწმდა და ბავშვებმა, წინასწარ დაუწერეს თოვლის ბაბუას წერილები.

საახალწლო ნობათის შემადგენლობაში შედიოდა: ხორც-პროდუქტები, ტკბილეულობა, ბურღულეულობა, ხილი, სასმელები, რძისროდუქტები ლობიანები, ხაჭაპურები, მედიკამენტები, პამპერსი და ჩვილის კვების პროდუქტები, საახალწლოდ შუშხუნები, ზღაპრების ილუსტრირებული წიგნები, სკოლის ჩანთა და საკანცელარიო ნივთები, სახატავები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი;

სათამაშოები ბავშვების სურვილისამებრ - დიდი ტყვიებიანი თოფები, პულტიანი მანქანები, თვითმფრინავები, თოჯინების სახლი, რობოტები, ბარბის თოჯინები კაბებით, ასაწყობი კუბიკები (ჩვილი ბავშვის სათამაშოები) და სხვა.

**2025 წელს მხარდაჭერილი ოჯახების ინფორმაციის მისალებად დაგვიკავშირდით. რვეულ მზად ვართ, პერსონალური მონაცემების გაზიარების შესაბამისი პროცედურების დაცვით 30-ივე მათგანის საკონტაქტო მონაცემები გაგიზიაროთ.**

# აქცია-ღონისძიების მხარდამჭერები

**"ის მაინც არსებობს" აქცია-ღონისძიების მხარდამჭერი კომპანიები და ინდივიდები 2025 წელს იყვნენ:**

1. მიკრობანკი კრისტალი
2. საქართველოს ბანკი
3. სასტუმრო არგო
4. კომპანია “ონიმა“
5. ქარვასლა
6. კომპანია “გალფი“
7. რესტორანი “მუზეუმი“
8. კომპანია “მინისო“
9. ჩემი გამომცემლობა
10. რესტორანი “ჰაკერ-ფშორი“
11. საჩუქრების სალონი „დაჩი+“
12. ყვავილების მაღაზია „ბონბონი“
13. კაფე “პიკნიკი“
14. ბარ-რესტორანი “ინტრო“
15. ბარ-რესტორანი “პაოლო“
16. კომპანია “ზედაზენი“
17. რესტორანი “ბარაქა“
18. სპექტრი
19. კომპანია “კულინარი“
20. სილამაზის სალონი-Ninail beauty studio
21. ყვავილების სალონო “კესანეს ყვევილები“
22. მიკრო საფინანსო “იმერკრედიტი“
23. საქართველოს ცხოველთა ფედერაცია “GAF“
24. კაფე “ლილესთან“
25. საკანცელარიო მაღაზია “Penciled“
26. ტორტის სახლი “რაფაელო“
27. ბავშვთა სამყარო - ცისარტყელა
28. სათამაშოების მაღაზია "ატა"
29. კომპანი "ხემსი"
30. კომპანია "ვენტუ"
31. ატელიე "ქვინი"
32. ატელიე "ბიბიდი ბაბიდი ბუ"
33. ატელიე "ბება"
34. ივენთ კომპანია “იუნიკო“
35. კომპანია "თქვენი ლამაზი დღესასწაული"
36. კომპანია “Event Room“
37. რესტორანი “რერო“
38. კომპანია “ჩირიმე“
39. სილამაზის სალონი “animalashbar“
40. “ეროვნული სამოსი“
41. მუსიკოსი - მარიამ კაკუშაძე

ის მაინს არსებობს!

საქველმოქმედო აქცია-ღონისძიება

# "ის მაინც არსებობს" - გაშუქება

**გიზიარებთ ყველა იმ პოსტის, ვიდეოსა და ფოტოს ბმულს, რომელიც RICDOG-ის სოციალურ ქსელებში (INSTAGRAM & FACEBOOK) ოფიციალურ გვერდებზე და ჯგუფებში გავრცელდა.**

## ᲘᲮᲘᲦᲔᲗ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲝᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲜᲙᲔᲑᲘ

**აქცია-ღონისძიების განმავლობაში 40-მდე პოსტი  გამოქვეყნდა "ის მაინც არსებობს" მიმდინარეობის, მხარდამჭერებისა და პროცესის შესახებ ორგანიზაციის FACEBOOK გვერდზე, მათი დიდი ნაწილი გადაზიარდა INSTAGRAM-ის გვერდზეც.**

**აქვე, გიზიარებთ ორგანიზაციის FACEBOOK გვერდის შესახებ ინფორმაციას:**

## ᲘᲮᲘᲦᲔᲗ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲥᲡᲔᲚᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘ

## ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ: 13 000

**აქცია-ღონისძიების განმავლობაში ორგანიზაციის FACEBOOK გვერდზე ასევე გამოქვეყნდა პოსტები კომპანიების შესახემ, რომლებმაც სხვადასხვა სახის(თანხა, პროდუქტები, ვაუჩერები) შემოწირულობა გაიღეს.**

# "ის მაინც არსებობს" – შემაჯამებელი ღონისძიება

**“ის მაინც არსებობს” - შემაჯამებელი ღონისძიება უკვე მეთოთხმეტედ, ტრადიციული ფორმატით ჩატარდა. შემაჯამებელ საღამოს, რომელსაც სასტუმრო „არგომ“ უმასპინძლა, RICDOG-ის მხარდამჭერები და მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.**

**ღონისძიება დატვირთული იყო როგორც საქველმოქმედო, ისე ორგანიზაციული სიახლეებით. საზოგადოებას წარედგინა RICDOG-ის განვითარების ახალი, 10-წლიანი სტრატეგიული გეგმა, რომელიც მომავალი ათწლეულის მთავარ პრიორიტეტებს განსაზღვრავს. RICDOG-ის საპატიო ჯილდო, რომელიც 5 წელიწადში მხოლოდ ერთხელ გაიცემა, წელს PH International-ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს, ბერდია ნაცვლიშვილს და RICDOG-ის მესამე ვიცე-პრეზიდენტსა და საპატიო გენერალურ მდივანს, ეკატერინე მარუქაშვილს გადაეცათ. ასევე, გამოვლინდა 2025 წლის საუკეთესო წევრიც, რომელიც ლუკა კვანტალიანი გახდა.**